პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 6 ივნისი, 1946 წ. № 113 (7586). ფასი 20 კაპ.

გუშინ, 5 ივნისს, მოსკოვში, წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმის გვერდით, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მიწას მიაბარეს დიდი რევოლუციონერი, რუსი ხალხის სახელოვანი შვილი

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

მ. ი. კალინინის—კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებლისა და გამოჩენილი ხელმძღვანელის—ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გულში და აღაფრთოვანებს მათ ახალი წარმატებებისათვის სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში!

დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი

გუშინ მოსკოვის მიწამ მიიბარა დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი ხელმძღვანელი **მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.**

ღრმა გულისტკივილით გააცილეს მოსკოვის მშრომელებმა მიხეილ ივანეს-ძე უკანასკნელ გზაზე. მათ უსაზღვრო მწუხარებაში გამოხატული იყო მთელი საბჭოთა ქვეყნის, მთელი მოწინავე კაცობრიობის გლოვა უმძიმესი დანაკლისის გამო, რაც განიცადეს ჩვენმა სამშობლომ, პარტიამ, ხალხმა.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ჭაბუკობის წლებიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და პიტერის მუშების ავანგარდში ჩადგა. ლენინთან ერთად იგი მუშაობდა არალეგალურ მარქსისტულ წრეებში, „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“, **ლენინისა და სტალინის** მხარდამხარ აშენებდა ბოლშევიკების პარტიას, ქმნიდა „პრავდას“, აქტიურად მონაწილეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მოახმარა ხალხის სამსახურს, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას, კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეს.

რევოლუციურმა მოღვაწეობამ მიხეილ ივანეს-ძე ახალგაზრდობიდანვე დააკავშირა ქართველ ხალხთან. მეფის ხელისუფალთაგან დევნილი, თბილისში გადმოსახლებული, იგი მუშაობდა საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში და რაზმავდა მუშებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, მაშინდელ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მუშაობის დროს ამხანაგმა მ. ი. კალინინმა დარაზმა რუსი, ქართველი და სომეხი მუშები. ზოგიერთი მათგანი ახლაც იმავე ქარხანაში მუშაობს. მათ კარგად ახსოვთ მიხეილ ივანეს-ძე — გულისხმიერი მეგობარი, ჭკვიანი და ნაცადი ხელმძღვანელი. ქარხანაში ახლაც დგას ის დაზგა, რომელზეც ორმოცდაექვსი წლის წინათ მიხეილ ივანეს-ძე ხარატად მუშაობდა.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ყველა მშრომელისათვის მახლობელი და მშობლიური იყო. ეს დიდი რევოლუციონერი-ბოლშევიკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან, რომლის ბედნიერებისა და დიდებისათვის მან ბევრი გააკეთა. ხალხმაც უსაზღვროდ შეიყვარა თავისი ერთგული, უანგარო, სპეტაკი შვილი.

ლენინისა და სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, მშრომელთა საყვარელმა მეგობარმა და ბრძენმა ხელმძღვანელმა მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა მთელი თავისი მშვენიერი, კეთილშობილური სიცოცხლე მოახმარა ბოლშევიკების დიადი პარტიის საქმეს, სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის აყვავებას, ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებას.

დიდი ლენინის წინადადებით მიხეილ ივანეს-ძე 1919 წელს არჩეულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელად და მას შემდეგ მთელი ოცდაშვიდი წლის მანძილზე თავდადებულად, უმწიკვლოდ მუშაობდა ამ მაღალ პოსტზე.

ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ერთგულებით, სოციალიზმისადმი თავდადებული სამსახურით და მშრომელთა კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი ზრუნვით მიხეილ ივანეს-ძე კალინინი წარმოადგენდა მაგალითს, რომელიც ყოველთვის გაუნათებს გზას კომუნიზმის მშენებლებს.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა მთელი თავისი შესანიშნავი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების საკაცობრიო საქმეს. პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ დაუღალავ ბრძოლას, ლენინიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას მან მოახმარა თავისი დაუცხრომელი ენერგია, დიდი ნიჭი და გამოცდილება.

არაჩვეულებრივი უბრალოება, ხალხური სიბრძნე და დარბაისლობა, რაც ასე ახასიათებდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინს, ხელს უწყობდა მას მკაფიოდ, სადად და მიმზიდველად განემარტა თვითეული მშრომელისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები, ღრმად ჩაეხედა ადამიანის გულში. მიხეილ ივანეს-ძე იყო ჩვენი დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე და უდიდესი პროპაგანდისტი, საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი აღმზრდელი.

დაუვიწყარია მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სიტყვები, გამოსვლები, წერილები, განსაკუთრებით სამამულო ომის დღეებში. ისინი სრულ სიმართლეს მეტყველებდნენ და ხალხს, არმიას გამარჯვების რწმენას უძლიერებდნენ. მიხეილ ივანეს-ძე ამ დროს მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ მაინც მთელ თავის ძალებს ახმარდა საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მთელი სიცოცხლე მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გმირულ ისტორიასთან, მისი ძლიერებისა და სიმტკიცის შექმნასთან, მის ზრდასა და აყვავებასთან.

ჭეშმარიტად, ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მოღვაწეობა ყოველთვის იქნება სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ხალხთან განუყრელი კავშირის ნიმუში, კომუნიზმის საქმისათვის გმირული სამსახურის მაგალითი.

თაობიდან თაობას, საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა **მიხეილ ივანეს-ძე კალინინის** — დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის, მშრომელთა ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლის, დიდი რევოლუციონერი-ბოლშევიკის — ნათელი ხსოვნა!

და ყველაზე ძვირფასი ძეგლი, რომელიც მის სახელს უკვდავჰყოფს, იქნება **ლენინ-სტალინის** დიადი დროშით გამარჯვებული კომუნიზმი!

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ყაზახეთის მშრომელები დიდ მწუხარებას გამოხთქვამენ ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, უძველესი რევოლუციონერის, ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უაღრესად აქტიური ორგანიზატორის, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მშენებლის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახით ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დაჰკარგეს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც 27 წლის განმავლობაში უცვლელად იდგა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მეთაურის პოსტზე, რომელიც სარგებლობდა ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ნათელი სახე, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ლენინ-სტალინის საქმეს, ხალხის სამსახურის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, მარად იცოცხლებს ყაზახეთის მშრომელთა გულში, სამუდამოდ დაცულ იქნება მათ ხსოვნაში და აღაფრთოვანებს მათ თავდადებული შრომისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭო
ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

კარელია-ფინეთის სსრ კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

კარელია-ფინეთის სსრ კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

ამხანაგ კალინინის მთელი შეგნებული ცხოვრება ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი თავდადებული სამსახურის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს. მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს მიხეილ ივანეს-ძე კალინინი თავდადებულად შრომობდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის უაღრესად პასუხსაგებ პოსტზე და მთელ თავის ძალღონეს, ცოდნას და ცხოვრების უმდიდრეს გამოცდილებას ახმარდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გაძლიერების, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

კარელია-ფინეთის სსრ მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კარგად იცნობდნენ, გულწრფელად სცემდნენ პატივს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს და მხურვალედ უყვარდათ იგი.

ჯერ კიდევ ცარიზმის შორეულ წლებში, როცა მიხეილ ივანეს-ძე გადმოსახლებული იყო ოლონეცის მხარეში, ჩაისახა ამხანაგ კალინინის მეგობრობა კარელ ხალხთან. მას შემდეგ ეს მეგობრობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიხეილ ივანეს-ძე ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა საბჭოთა კარელიის სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობისადმი, ყოველმხრივ დახმარებას უწევდა კარელ ხალხს ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში. 1924 წელს მან ინახულა ჩვენი რესპუბლიკა და პირადად ჩაუყარა საძირკველი უდიდეს ახალმშენებლობას — კონდოპოგის ქაღალდის ფაბრიკას, რომელიც რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშო იყო.

ჩვენ მოწიწებით ვინახავთ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მიერ ხელმოწერილ ისტორიულ დოკუმენტს ჩვენი კარელიის ასს რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

დიდი და დაუვიწყარია მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დამსახურება დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში.

თავისი ბრწყინვალე, ბრძნული გამოსვლებით მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენას უნერგავდა საბჭოთა ადამიანებს, აღაფრთოვანებდა მათ ახალი ისტორიული საგმირო საქმეებისათვის, ლენინ-სტალინის უკვდავი იდეების ბრწყინვალე პროპაგანდისტი იყო.

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ხსოვნა მარად დარჩება მშრომელთა გულში და აღაფრთოვანებს ყველა მუშასა და გლეხს, ინტელიგენციას თავდადებული შრომისათვის ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების უზრუნველსაყოფად.

კარელია-ფინეთის სსრ კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი
კარელია-ფინეთის სსრ მინისტრთა საბჭო
კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, მოლდავეთის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო. მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახით საბჭოთა ხალხმა დაჰკარგა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე და ნიჭი მოახმარა ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისათვის თავდადებული სამსახურისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითია.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახელი მთელი საბჭოთა ხალხისათვის მახლობელი და ძვირფასი, განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა მოლდავეთის მშრომელთათვის, რომლებიც ექსპლოატატორთა და უცხოელ დამმონებელთა უღლისაგან თავიანთ განთავისუფლებას უნდა უმადლოდნენ საბჭოთა ხელისუფლებასა და ლენინ-სტალინის დიად პარტიას. ლენინთან და სტალინთან ერთად ამხანაგი კალინინი აშენებდა ბოლშევიკურ პარტიას, ლენინთან და სტალინთან ერთად აშენებდა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს — მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ოცდაშვიდ წელიწადს თავდადებულად მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე, მთელ თავის ძალღონეს ახმარდა სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებას, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის კავშირისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება საბჭოთა მოლდავეთის მშრომელების გულში. ხალხისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული სამსახურის მისი მაგალითი და სამშობლოსადმი ერთგულება აღაფრთოვანებენ და მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ხალხებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლ. სალოგორი
მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. გ. კოვალი
მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. გ. ბროვკო

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ეტლისაგან

პირადად ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით მსურს გამოვთქვა მწუხარების გულწრფელი გრძნობა, რომლითაც ჩვენ შევიტყვეთ ბ-ნ კალინინის გარდაცვალება.

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

უზბეკეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელი უზბეკი ხალხის სახელით დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უაღრესად გამოჩენილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, ლენინისა და სტალინის ერთგული და უახლოესი თანამებრძოლის, ჩვენი პარტიისა და ხალხის საყვარელ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

ამხანაგმა კალინინმა განვლო ბოლშევიკ-რევოლუციონერის დიდი და სახელოვანი გზა. ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე, უბრალო და გულითადი, იგი მახლობელი იყო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის და საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. უზბეკი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ძვირფასი მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დიდ დამსახურებას უზბეკეთის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნაში და მის მუდმივ ბეჯით ყურადღებასა და მზრუნველობას საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო მეგობრულ ოჯახში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის.

დიდი სტალინის დავალებით მიხეილ ივანეს-ძე კალინინი უშუალო მონაწილეობას იღებდა უზბეკეთის საბჭოების პირველი ყრილობისა და კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის მუშაობაში და თავისი ბრძნული მითითებებითა და რჩევით დახმარება გაუწია მთელ უზბეკ ხალხსა და ბოლშევიკებს სწორად გადაეჭრათ მაშინ შექმნილი უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობის ძირითადი საკითხები.

ნათელი სახე ამხანაგ კალინინისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის თავდადებულ სამსახურს, ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავებასა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, უზბეკეთის ბოლშევიკებსა და ყველა მშრომელთ აღაფრთოვანებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ყველა ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის კიდევ უფრო თავდადებით საბრძოლველად.

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭო
უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელ თურქმენ ხალხთან ერთად დიდად დამწუხრებული არიან მძიმე დანაკლისის გამო, რაც პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა განიცადეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, თურქმენი ხალხის მეგობრის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

თურქმენეთის მშრომელნი არასოდეს არ დაივიწყებენ მიხეილ ივანეს-ძის ნათელ სახეს, ვისი სიცოცხლეც მოხმარდა ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას, ჩვენი დიდი სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აყვავებისა და ძლიერებისათვის ბრძოლას.

მიხეილ ივანეს-ძემ, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისა და დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელმა, გახსნა სრულიად თურქმენეთის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც დასაბამი მისცა თავისუფალი, თანასწორუფლებიანი თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახე მუდამ იცოცხლებს თურქმენი ხალხის გულში, იგი იქნება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავდადებული ერთგულების მაგალითი, თურქმენეთის მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი გმირობისათვის სტალინური ხუთწლედის დიადი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭო
თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ მ. ი. კალინინის დაკრძალვა

გუშინ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის—მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ მიხეილ ივანეს-ძე კალინინს, მგზნებარე პატრიოტს, ბრძენ სახელმწიფო მოღვაწეს, დიდ რევოლუციონერს, ყველა მშრომელთა საყვარელ ადამიანს.

ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს დიდ მწუხარებას იზიარებს მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ადამიანებს თავზარი დასცა ცნობამ ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა და ხალხის გულისხმიერი მეგობრის გარდაცვალების შესახებ. უსაზღვროა ხალხის მწუხარება.

მთელი ღამე გრძელდებოდა სვლა ამხანაგ კალინინის ცხედრისაკენ. ხალხი განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა კიროვის კარიდან, ბულვარების გასწვრივ. ხალხით გაიჭედა ყველა ქუჩა, მოედანი, შესახვევი და ადამიანთა მთელი ეს მასა ცდილობდა შესულიყო სვეტებიან დარბაზში, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდა მშრომელთა დაუვიწყარ მეგობარს და მასწავლებელს.

ღამით სვეტებიან დარბაზში მოვიდა გენერლების ჯგუფი საბჭოთა კავშირის მარშალ ლ. ა. გოვოროვის მეთაურობით. დელეგაციამ გვირგვინი მოიტანა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს სახელით.

სამგლოვიარო მელოდიების მწუხარე ხმებია. კუბოს წინ მიდის ათასობით ადამიანი. გეგონებათ ამ სვლას ბოლო არ ექნებაო. მოდიან დედაქალაქის მოსკვორეცკის, ძერჟინსკის, სტალინის, ფრუნზეს, კიროვის რაიონების ფაბრიკა-ქარხნების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა წარმომადგენლები, ათასობით ადამიანის თვალი უკანასკნელად დასცქერის ძვირფას სახეს.

ივნისის მოკლე ღამე დილამ შესცვალა. რვა საათზე კუბოსთან მოვიდა მოლდავეთის სსრ დელეგაცია მოლდავეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ფ. გ. ბროვკოსა და მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. გ. კოვალის მეთაურობით. დელეგაციამ კუბო შეამკო ცოცხალი ყვავილების გვირგვინით. სულ ახალ-ახალი გვირგვინით ამკობენ პოსტამენტს.

10 საათი და 30 წუთია... სვეტებიან დარბაზში შემოდის მარშალი იოსიპ ბროზ-ტიტო იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის წევრთა თანხლებით. დელეგაციამ გვირგვინი მოიტანა მოძმე იუგოსლავი ხალხის სახელით, რომელიც მუდამ მადლობის გრძნობით იქნება გამსჭვალული საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელისადმი ფაშისტი დამპყრობლების უღლისაგან იუგოსლავიის განთავისუფლებაში დახმარებისათვის.

კუბოსთან ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. 11 საათზე სამგლოვიარო ვახტზე დგებიან საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვორობიოვი, არტილერიის მარშალი ნ. დ. იაკოვლევი. მათ სცვლიან ადმირალი ლ. მ. გალერი, ვიცე-ადმირალი პ. ს. აბანკინი.

დიდ მწუხარებას ერთნაირად განიცდიან კოლმეურნეები, მუშები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები — ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მოქალაქენი.

თვითეული საბჭოთა მეომრის გულში ღვივის გულითადი მადლობის გრძნობა ამხანაგ კალინინისადმი. წითელი არმიის მებრძოლებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა იციან და ახსოვთ, რომ მიხეილ ივანეს-ძე ლენინთან და სტალინთან ერთად ჰქმნიდა და აშენებდა საბჭოთა სახელმწიფოს; სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგი კალინინი ზრდიდა და აწრთობდა საბჭოთა მეომრებს, განამტკიცებდა მათ ნებისყოფას გამარჯვებისადმი; აი რატომ გამოცხადდა გუშინ სვეტებიან დარბაზში ასე ბევრი მებრძოლი, ოფიცერი და გენერალი. დაბლა თავდახრილი ადამიანები მდუმარედ ეთხოვებოდნენ დაუვიწყარ მასწავლებელსა და მეგობარს, რომელმაც ამდენი ძალა და მჩქეფარე ენერგია მოახმარა ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას.

* * *

თვალუწვდენია ჩვენი სამშობლო. მისი მადლიანი მიწის მოსახლე ხალხები ათობით ენაზე ლაპარაკობენ. და ყველგან—წყნარი ოკეანიდან ბალტიკამდე, კარპატებიდან კავკასიის მთებამდე—მიხეილ ივანეს-ძე ერთნაირად ძვირფასია და ერთნაირად უყვარს მილიონობით ადამიანს. დილით მოსკოვში თვითმფრინავებითა და მატარებლებით ჩამოვიდნენ მოძმე რესპუბლიკების მრავალრიცხოვანი დელეგაციები. სსრ კავშირის ხალხთა წარმოგზავნილებმა კუბო შეამკეს ქართველების, უზბეკების, ყაზახების, უკრაინელების მიერ მოწნებით ნაკეთები გვირგვინებით.

13 საათზე მოვიდა აზერბაიჯანის დელეგაცია აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. მ. ისლამ-ზადეს მეთაურობით. საპატიო ყარაულში ისინი შესცვალეს უზბეკეთის დელეგატებმა.

13 საათსა და 15 წუთზე სვეტებიან დარბაზში მოვიდა საბჭოთა მთავრობასთან მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა დიპლომატიური კორპუსის მამასახლისთან ავღანეთის ელჩ ბ-ნ სულთან ახმედ-ხანთან ერთად კუბოს თავთან დასდეს ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინი.

მრავალმხრივი სასიცოცხლო კავშირი ჰქონდა მიხეილ ივანეს-ძეს ლენინგრადთან. აქ რევოლუციამდელ წლებში იგი ლენინთან და სტალინთან ერთად ამზადებდა ოქტომბრის გამარჯვებას, ზრდიდა ბოლშევიკური პარტიის კადრებს. მიხეილ ივანეს-ძის გარდაცვალებამ მწვავე გულისტკივილი გამოიწვია ლენინგრადელებში. გუშინ მათ დელეგაცია გამოგზავნეს მ. ი. კალინინის დაკრძალვაზე. დელეგაციის წევრები — მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. გ. ლაზუტინი, კიროვის მუშები ა. ა. კუტეინიკოვი და ა. კ. მიროშნიკოვი, რომლებმაც მრავალ წელს იმუშავეს მ. ი. კალინინთან ერთად, და სხვები დგებიან საპატიო ყარაულში.

ლენინგრადელები გვირგვინს სდებენ კუბოს პოსტამენტზე.

დილით მოსკოვში ჩამოვიდა ყაზახი ხალხის დელეგაცია. ყაზახეთის წარმოგზავნილნი აეროდრომიდან პირდაპირ მოვიდნენ სვეტებიან დარბაზში. მათ ყაზახეთის მეტალურგების, მაღაროელების, ფეიქრებისა და მეცხოველეების სახელით ჩამოიტანეს გვირგვინი და უკანასკნელი მისალმება მიხეილ ივანეს-ძისადმი.

ყაზახეთის წარმოგზავნილთ სცვლიან შორეული იაკუტიის დელეგატები. აი დარბაზში შემოდიან თურქმენი ხალხის წარმომადგენლები თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ბერდიევის მეთაურობით. კუბოს გვირგვინით ამკობენ ყირგიზი, ქართველი, ტაჯიკი ხალხების წარმოგზავნილნი.

14 საათზე შემოდის სომხეთის სსრ დელეგაცია სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. პაპიანის მეთაურობით. დელეგაცია ეს-ეს არის ჩამოვიდა ერევნიდან და თან ჩამოიტანა გვირგვინი, რომელსაც კუბოს პოსტამენტთან სდებენ.

* * *

5 საათია. კავშირების სახლისაკენ მიმავალი ქუჩები და მოედნები ჯერ კიდევ გაჭედილია ხალხით, თუმცა სვეტებიან დარბაზში მნახველთა შესვლა შეწყვიტეს. კუბოსთან რჩებიან ამხანაგ კალინინის მეგობრები, თანამებრძოლები და ნათესავები. სულ უფრო და უფრო ხშირად იცვლება საპატიო ვახტი კუბოსთან.

კუბოსთან დგებიან მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მეთაურ ამხანაგ კალინინის მხარდამხარ მუშაობდნენ, —ამხანაგები მ. ს. გრეჩუხა, ი. ი. ვარესი, ი. ი. პალეცკისი, ო. ვ. კუუსინენი, მ. პაპიანი, ა. ბერდიევი.

18 საათზე კუბოსთან იკრიბებიან მინისტრები, დეპუტატები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, წითელი არმიისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მარშლები, გენერლები და ადმირალები.

... მიხეილ ივანეს-ძის ნათესავები და მეგობრები ადიან პოსტამენტზე და ეთხოვებიან განსვენებულს. ყოველ ორ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. კუბოსთან არიან ვ. ვ. კუზნეცოვი, გ. მ. პოპოვი, გ. თ. ალექსანდროვი, მ. თ. შკირიატოვი, ლ. ზ. მეხლისი, ა. თ. გორკინი.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები...

18 საათსა და 15 წუთზე სვეტებიან დარბაზში შემოდიან ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. პ. ბერია, ა. ა. ჟდანოვი, გ. მ. მალენკოვი.

ხუთ წუთს გრძელდება ეს უკანასკნელი ვახტი ლენინისა და სტალინის სახელოვანი თანამებრძოლის, ჩვენი ხალხის შესანიშნავი შვილის კუბოსთან

* * *

18 საათსა და 40 წუთზე ამხანაგი სტალინი, ამხანაგები მოლოტოვი, ბერია, ჟდანოვი, მალენკოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ვოზნესენსკი, შვერნიკი, კოსიგინი და ბულგანინი პოსტამენტიდან ასწევენ კუბოს და გამოაქვთ ქუჩაში. დიდებულად ჟღერენ ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის მწუხარე მელოდიები. კუბოს სდგამენ საარტილერიო ქვემეხის ლაფეტზე. სამგლოვიარო პროცესია წითელი მოედნისაკენ მიემართება.

პროცესიის წინ—მიხეილ ივანეს-ძის უახლოეს მეგობრებს ატლასის ბალიშებით მოაქვთ ჯილდოები, რომლებიც ამხანაგ კალინინს მიენიჭა სამშობლოს თავდადებული სამსახურისათვის.

ოხოტნი რიადის, სამანეჟო მოედნის და ისტორიული მუზეუმის გასასვლელის გასწვრივ ჩამწკრივებულან მოსკოვის გარნიზონის ნაწილები. ნაწილების წინ სამგლოვიაროდ დახრილია საბრძოლო დროშები. საპატიო სამხედრო ესკორტი მიჰყვება პროცესიას კავშირების სახლიდან კრემლამდე.

წითელ მოედანზე უკვე შეკრებილა ათიათასობით მოსკოველი. მოსკოვის საწარმოების მუშები, სამინისტროების მოსამსახურეები, მეცნიერების მოღვაწენი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატები მოსულან მავზოლეუმთან, სადაც მათ ბევრჯერ უნახავთ დაუვიწყარი მიხეილ ივანეს-ძე. მშრომელთა კოლონების თავზე აღმართულია ამხანაგ კალინინის ასობით პორტრეტი, ძაძამოვლებული დროშები.

18 საათსა და 55 წუთზე სამგლოვიარო პროცესია მიუახლოვდა მავზოლეუმს.

ამხანაგი სტალინი, ამხანაგები მოლოტოვი, ბერია, ჟდანოვი, მიქოიანი, მალენკოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, შვერნიკი, კოსიგინი, ვოზნესენსკი, პოპოვი ტრიბუნაზე ადიან.

დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი მ. ი. კალინინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს გახსნილად აცხადებს.

მიტინგი დამთავრდა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმის სამგლოვიარო მარშის მწუხარე ხმები, რომელსაც ასრულებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს ნაკრები ორკესტრი.

ამხანაგი სტალინი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან და საარტილერიო ლაფეტიდან ასწევენ კუბოს მიხეილ ივანეს-ძის ნეშტით. პროცესია მიემართება კრემლის კედლისაკენ. აქ ლენინის მავზოლეუმის ახლოს, ი. მ. სვერდლოვისა და ფ. ე. ძერჟინსკის საფლავების გვერდით ახალი საფლავია. უკანასკნელად ეთხოვებიან მეგობრები და ნათესავები მიხეილ ივანეს-ძეს. გადის რამდენიმე წუთი... კუბოს ნელა ასვენებენ საფლავში.

წითელ მოედანზე გაისმის სამგლოვიარო მარშის ხმები. მალე მათ ფარავს მოტორების მძლავრი გუგუნი. ეს საბჭოთა მფრინავები უკანასკნელ პატივს სცემენ ამხანაგ მ. ი. კალინინს. ცაში ზუსტი მწყობრით გაიქროლეს მძიმე ბომბდამშენებმა. და როგორც კი ისინი მოეფარნენ ვასილ ნეტარის ტაძარს, ცაში გამოჩნდნენ ზესწრაფი ავიაგამანადგურებლები. ჰაერი ირყევა საარტილერიო ზალპებისაგან ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის კეთილშობილი მებრძოლის პატივსაცემად.

როცა მისწყდა ქვემეხთა გრიალი, წითელ მოედანს, მოსკოვს მოეფინა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო ხმები, რაც სიმბოლოა იმ საქმის უკვდავებისა, რომელსაც მთელი თავისი მშვენიერი ცხოვრება მოახმარა მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა.

* * *

დაკრძალვის შემდეგ მავზოლეუმის წინ ჩაიარეს სამხედრო აკადემიებმა, სასწავლებლებმა და მოსკოვის გარნიზონის ნაწილებმა, რომლებიც უკანასკნელად გამოეთხოვნენ ამხანაგ კალინინს. (საქტესი).

ამხ. ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით

ამხანაგებო!

დღეს ჩვენი ხალხი დიდი მწუხარებით ეთხოვება მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.

ბოლშევიკურმა პარტიამ, სოციალისტურმა სახელმწიფომ და საბჭოთა კავშირის ხალხებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ჩვენი ეპოქის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი სახელოვანი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

მიხეილ ივანეს-ძის მთელი მჩქეფარე ცხოვრება ჭაბუკობიდან უკანასკნელ სულთქმამდე მთლიანად მოხმარდა ხალხის ინტერესებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ამხანაგ კალინინის ცხოვრების გზა მოწინავე მუშიდან საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელამდე არის გზა მგზნებარე რევოლუციონერისა, რომელიც გამოაწრთეს არალეგალურმა, მკაცრმა რევოლუციურმა ბრძოლამ, მეფის საპყრობილეებსა და გადასახლების დროს გადატანილმა მძიმე განსაცდელმა, მრავალი წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ ხალხის საკეთილდღეოდ.

მიხეილ ივანეს-ძის რევოლუციური, პარტიული, სახელმწიფო მოღვაწეობა წარმოადგენს ხალხის იმ მასების შემოქმედების მკაფიო ნიმუშს, რომლებიც თავიანთი წიაღიდან გვაძლევენ მძლავრ ხალხურ ტალანტებს.

ამხანაგ კალინინის ცხოვრება საბჭოთა რევოლუციის ყველაზე შესანიშნავ თავისებურებათა — მისი ულრმესი ხალხურობის — განსახიერებაა. იგი — დიდი რევოლუციონერი ყოველმხრივ იყო დაკავშირებული ხალხთან. მიხეილ ივანეს-ძემ იცოდა ხალხის მასების იდუმალი ფიქრები და მისწრაფებანი, მათი საჭიროებანი, მოთხოვნილებანი და მუდამ იმყოფებოდა მუშათა კლასის იდეალების გამარჯვებისათვის შუაგულ ბრძოლაში.

კალინინის — ხალხის საყვარელი ადამიანის — სახელი ძვირფასი და წმიდაა ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მრავალეროვანი საზოგადოების ყველა ფენისათვის.

დიდი საბჭოთა ჰუმანისტი, მუშათა და გლეხთა ნიჭიერი აღმზრდელი, მიხეილ ივანეს-ძე მუდამ მიმართავდა ხალხს ბოლშევიკური სიმართლის სიტყვით, იგი უდიდესი ხელოვნებით უნერგავდა ამ სიმართლეს სადა და ნათელი სიტყვებით თვითეულ ადამიანს.

ლენინ-სტალინის იდეების გამოჩენილმა პროპაგანდისტმა, ამხანაგმა კალინინმა დიდი ძალღონე მოახმარა საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდის საქმეს.

მიხეილ ივანეს-ძე 27 წელიწადს იყო მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს სათავეში, მუდამ მიაჩნდა თავი ხალხის მსახურად. ბოლშევიზმის გამოჩენილ მოღვაწეს, მიხეილ ივანეს-ძეს მუდამ მიაჩნდა თავი ლენინ-სტალინის პარტიის ჯარისკაცად, წმიდად ასრულებდა ამ პარტიის ნება-სურვილს.

მიხეილ ივანეს-ძე იყო დიდი რუსი ხალხის ერთგული შვილი, მის საუკეთესო ეროვნულ თვისებათა გამომხატველი. ნათელი გონება, ღრმა ხალხური სიბრძნე, რევოლუციური გაქანება, მედგრობა და სიმტკიცე ხალხის ინტერესთა დაცვაში ჩაუნერგა მიხეილ ივანეს-ძეს რუსეთის რევოლუციურმა მოძრაობამ.

მთელი თავისი ცხოვრების გზა მიხეილ ივანეს-ძემ ლენინთან და სტალინთან ერთად გაიარა. გასული საუკუნის დამლევიდან ახალგაზრდა პიტერელი მუშა მიხეილ კალინინი თავის რევოლუციურ მოღვაწეობას იწყებს ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

პეტერბურგისა და მოსკოვის, რეველისა და თბილისის ქარხნებში, ბოლშევიკურ ორგანიზაციებში, არალეგალურ პრესაში ამხანაგი კალინინი მუდამ გამოდის, როგორც ლენინ-სტალინის იდეებისათვის თანმიმდევრული მებრძოლი.

სათავეში ედგა რა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, მიხეილ ივანეს-ძემ მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია მოახმარა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეს.

საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, ამხანაგი კალინინი იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის გამოჩენილი მებრძოლი, ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული გამტარებელი. იგი საბჭოთა ხალხს ზრდიდა სხვა ხალხების უფლებებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

გულითადი და გულისხმიერი უბრალო საბჭოთა ადამიანებისადმი, მიხეილ ივანეს-ძე სასტიკი და დაუნდობელი იყო სამშობლოს მტრებისადმი. იგი საბჭოთა ადამიანებს უნერგავდა უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი და მძაფრ სიძულვილს ხალხის მტრებისადმი.

დიდი სამამულო ომის დღეებში ამხანაგი კალინინი დაუღალავად იდგა თავის პოსტზე, აჩაღებდა სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენის ჩაუქრობელ ცეცხლს, იყო ჰიტლერული გერმანიის და იაპონური იმპერიალიზმის განადგურების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

მიხეილ ივანეს-ძეს წარმოუდგენლად მიაჩნდა ცხოვრება ხალხის ინტერესებისათვის, სოციალიზმის საქმისათვის უბრძოლველად. „მთელი ჩემი ცხოვრების ისტორია, ხოლო არსებითად მუშათა კლასის მთელი ისტორიაც, — ამბობდა იგი, — იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვცხოვრობდით და ვიბრძოდით ლენინის, სტალინის ხელმძღვანელობით“.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი, მიხეილ ივანეს-ძე მთელი თავისი ბოლშევიკური გულის მგზნებარებას, სახელმწიფო მოღვაწეობის უმდიდრეს გამოცდილებას ახმარდა საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეს.

მძიმე დანაკლისის სიმწარეს განვიცდით მაშინ, როცა სოციალისტური სამშობლო იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და მტკიცედ მიდის საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აღმავლობისაკენ, მეურნეობისა და კულტურის აყვავებისაკენ. ამ გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი გვაახლოვებს კომუნიზმის სრულ გამარჯვებასთან, რასაც თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიურმა მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ცხოვრება და შრომა ხალხისათვის თავდადებული სამსახურის დიადი მაგალითია, ლენინ-სტალინის პარტიის კეთილშობილური იდეალებისათვის ბრძოლის ნიმუშია.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ნახევარი საუკუნის განუწყვეტელი შესანიშნავი გმირული მოღვაწეობა აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას ახალ-ახალი საგმირო საქმისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს სასახელოდ.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

ამხ. გ. მ. პოპოვის სიტყვა

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებისაგან

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უკანასკნელ ვალს ვიხდით ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მიხეილ ივანეს-ძე **კალინინის** წინაშე.

ძნელი შესარიგებელია ის აზრი, რომ ჩვენთან აღარ არის მიხეილ ივანეს-ძე, რომლის სახელიც გარემოსილია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მხურვალე სიყვარულით და მთელი მოწინავე კაცობრიობის ღრმა პატივისცემით.

მოსკოველი მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ღრმად დამწუხრებული არიან ამ მძიმე დანაკლისის გამო.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიხეილ ივანეს-ძე **კალინინმა** სოციალიზმისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის რევოლუციურ ბრძოლას მოახმარა.

ტვერის გუბერნიის ღარიბი გლეხის შვილმა, მელითონე მუშამ მიხეილ ივანეს-ძე **კალინინმა** თავის თავზე გამოსცადა კაპიტალისტური მონობის სიმძიმე, მუშათა კლასისა და გლეხობის უუფლებობა მეფისდროინდელი რუსეთის პირობებში. რუსეთში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, როცა მუშათა კლასმა ააფრიალა კაპიტალისტური ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა, არალეგალურად მომუშავე უშიშარი ბოლშევიკის რკინისებური ნებისყოფა ვერ გასტეხა ვერც საპყრობილემ, ვერც გადასახლებამ.

ლენინთან და სტალინთან ერთად მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** ჰქმნიდა ბოლშევიკურ პარტიას, ამზადებდა მუშათა კლასის გამარჯვებას დიდი ოქტომბრის რევოლუციაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის განხორციელებაში. იგი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი მშენებელი იყო. 1919 წელს ლენინის წინადადებით ამხანაგი **კალინინი** არჩეულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მეთაურად. იგი 27 წელიწადს ღირსეულად იდგა ამ პასუხსაგებ და საპატიო პოსტზე, დაუღალავად მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

დიდი სამამულო ომის წლებში მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** მთელ თავის ძალღონეს ახმარდა მტრის განადგურების საქმეს, საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებდა გმირული საქმეებისაკენ ფრონტზე და ზურგში. გამოვიდა რა 1942 წლის აპრილში ქალაქ მოსკოვის საწარმოთა პარტიული მუშაკების თათბირზე, მიხეილ ივანეს-ძემ სთქვა: „უშიშარობა ხალხის საქმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში კომუნისტის უპირველესი თვისებაა... სიცოცხლე ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასია, მაგრამ რაკი ბრძოლა დაიწყო, იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ, შეუძლებელია რაიმე დავიშუროთ, შეუძლებელია დავიშუროთ თვით სიცოცხლე“.

მსოფლიო ისტორიული გამარჯვება, რაც საბჭოთა ხალხმა ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე მოიპოვა, არის გამარჯვება საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომლის განმტკიცებისათვის ესოდენ ბევრი გააკეთა მიხეილ ივანეს-ძე **კალინინმა.**

მიხეილ ივანეს-ძის ბოლშევიკურმა პრინციპულობამ, უბრალოებამ და გულითადობამ, მისმა განუწყვეტელმა ზრუნვამ ხალხის საჭიროებისათვის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვეს საბჭოთა ადამიანებში და მოუპოვეს მას საყოველთაო სახალხო სიყვარული და პატივისცემა.

განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელი იყო მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციისა და ყველა მშრომელისათვის.

მოსკოვის მშრომელებს ახსოვთ, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში, რეაქციის მძიმე წლებში, ამხანაგი **კალინინი** მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და თავისი რევოლუციური მოღვაწეობისათვის მოსკოვში მიხეილ ივანეს-ძე დააპატიმრეს და გადაასახლეს 1910 წელს.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** განუყრელად დაკავშირებულია მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაობასთან.

ლენინისა და სტალინის მტკიცე მიმდევარი და ერთგული თანამებრძოლი მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** განუწყვეტლივ ეხმარებოდა მოსკოველ ბოლშევიკებს პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოსკოველი მშრომელები მიხეილ ივანეს-ძეს იცნობენ, როგორც თავიანთ უახლოეს მეგობარსა და მზრუნველ ხელმძღვანელს. მიხეილ ივანეს-ძე ხშირად ყოფილა მოსკოვის ქარხნებში, ფაბრიკებში, ინსტიტუტებში, კოლმეურნეობებში, სიტყვა წარმოუთქვამს კრებებზე, მიტინგებსა და კონფერენციებზე და ყველგან მისი ბრძნული და გულში ჩამწვდომი ბოლშევიკური სიტყვა აღაფრთოვანებდა მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას დიდი საქმეებისათვის სამშობლოს სასახელოდ, სოციალიზმისათვის.

მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების შესანიშნავი პროპაგანდისტი იყო. ღრმა დამაჯერებლობა, სიმართლე, ყველაზე რთული საკითხების მარტივად და გასაგებად ახსნის უნარი განსაკუთრებულ ძალას აძლევდა მიხეილ ივანეს-ძის გამოსვლებს.

მიხეილ ივანეს-ძე წავიდა ჩვენგან, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი განვითარების დიად სტალინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებას.

ნათელი სახე მიხეილ ივანეს-ძე **კალინინისა,** დიდი რევოლუციონერისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უანგაროდ მოახმარა ხალხის კეთილდღეობას, აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მშვიდობით, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, შენი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხ. პ. ს. პოპკოვის სიტყვა

ქალაქ ლენინგრადის მშრომელებისაგან

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვეთხოვებით მთელი საბჭოთა ხალხისათვის მახლობელ და ძვირფას ადამიანს — ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე **კალინინს.** ღრმა, უსაზღვრო მწუხარებამ მოიცვა საბჭოთა ადამიანები, როცა მათ შეიტყვეს, რომ სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ამხანაგი **კალინინი.**

ჩვენთვის, ლენინგრადელებისათვის, მიხეილ ივანეს-ძე მუდამ განსაკუთრებით მახლობელი და ძვირფასი იყო. ორმოცდაათი წლის წინათ მან ჭაბუკმა დაიწყო პეტერბურგში რუსი კადრის მუშის ცხოვრება. პიტერის ბევრ საწარმოში უმუშავნია მელითონე-ხარატს და მემრუდთარგე მიხეილ ივანეს-ძე **კალინინს.** ძველ „არსენალში“, პუტილოვის ქარხანაში, მილის ქარხანაში, ქარხანა „ნოვი აივაზში“, ქვემეხის ქარხანასა და პიტერის სხვა უდი-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ამხანაგ მ. ი. კალინინის დაკრძალვა

ამხ. პ. ს. პოპკოვის სიტყვა

(დასასრული)

დღეს საწარმოებში, სადაც ამხანაგ **კალინინს** უმუშავნია, დღემდე დაცულია მისი ხსოვნა. ამ საწარმოებში დღემდე შენახულია დაზგები, რომლებზეც ამხანაგი **კალინინი** მუშაობდა.

პიტერელი მუშები წმიდად ინახავენ თავიანთი ძველი მეგობრის, უშიშარი და დაუღალავი ბოლშევიკი მუშის, ორგანიზატორისა და პროპაგანდისტის ნათელ ხსოვნას. პეტერბურგში გაიზარდა ამხანაგი **კალინინი** როგორც მუშათა კლასის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. ლენინთან და სტალინთან ერთად მიხეილ ივანეს-ძე საფუძველს უყრიდა ბოლშევიკურ პარტიას, ქმნიდა და განამტკიცებდა ჩვენს დიად პარტიას.

ლენინგრადელი მუშები ამაყობენ იმით, რომ მათ რიგებში გაიზარდა მუშათა კლასის გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი.**

მიხეილ ივანეს-ძე **კალინინს** მხურვალედ უყვარდა ლენინგრადი. პიტერელ მუშებთან, ლენინგრადის მშრომელებთან მას არასოდეს არ გაუწყვეტია პირადი კავშირი. ოქტომბრის იერიშის დღეებში იგი იყო პეტროგრადის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ლენინისა და სტალინის თანამებრძოლი პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობის დარგში. სოციალისტური მშენებლობის მთელ შემდგომ წლებში მიხეილ ივანეს-ძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლენინგრადთან, მის მუშათა კლასთან, მის საწარმოებთან. ლენინგრადელები მუდამ ღრმა პატივისცემის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი მიხეილ ივანეს-ძე **კალინინისადმი.** მასში ისინი ხედავდნენ მოწინავე ბოლშევიკი მუშის საუკეთესო თვისებათა, საბჭოთა ხალხისა და ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო თვისებათა განსახიერებას. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითი მუდამ შთააგონებდა ლენინგრადელებს, აღაფრთოვანებდა მათ ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნისათვის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

რუსი ხალხის შვილმა, მოწინავე პიტერელმა მუშამ, მიხეილ ივანეს-ძემ ბოლშევიკების პარტიასთან ერთად განვლო სამი რევოლუციის სახელოვანი გზა. მისგან, ბოლშევიკური პარტიის უხუცესი მოღვაწისა და მგზნებარე პატრიოტისაგან, ლენინგრადელები სწავლობდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ სამსახურს, ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას. ამხანაგ კალინინის ღრმა ხალხური სიბრძნით გამსჭვალული სადა და ნათელი სიტყვები მუდამ გასაგები იყო ფართო მასებისათვის, სწვდებოდა თვითეული საბჭოთა ადამიანის გონებას.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს სათავეში ყოფნისას, იგი მთელ ძალღონესა და ცოდნას, მთელ თავის უდიდეს ცხოვრების გამოცდილებას ახმარდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეს. დიდი სამამულო ომის წლებში მიხეილ ივანეს-ძის მგზნებარე მოწოდებანი წმიდა ბრძოლისა და გმირული შრომისათვის რაზმავდნენ წითელი არმიის მეომრებს, მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას.

დღეს ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელები მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად თავს ხრიან ყველა ჩვენგანის მხურვალედ საყვარელი მშობლიური მიხეილ ივანეს-ძე **კალინინის** ცხედრის წინაშე.

მისი მშვენიერი, მამაცური სიცოცხლე, დაუცხრომელი ბრძოლა კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის მუდამ ბრწყინვალე მაგალითი იქნება ჩვენთვის.

უკანასკნელად მიაცილებენ რა დღეს ამხანაგ **კალინინს,** ლენინგრადელები მტკიცე პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო თავდადებულად იბრძოლებენ ლენინ-სტალინის საქმისათვის, რასაც მიხეილ ივანეს-ძემ ბოლომდე შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე.

მშვიდობით, ჩვენო მშობლიურო, ჩვენო მხურვალედ საყვარელო, დაუვიწყარო მიხეილ ივანეს-ძევ!

ამხ. ა. ვ. სიმონოვის სიტყვა

ქალაქ კალინინისა და კალინინის ოლქის მშრომელებისაგან

ამხანაგებო!

დიდი მწუხარება ეწია ჩვენს სამშობლოს, პარტიას, საბჭოთა ხალხს. გარდაიცვალა ლენინისა და სტალინის დიდი თანამებრძოლი, ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, ყველა მშრომელთა მხურვალედ საყვარელი მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი.**

ჩვენთვის, კალინინელებისათვის, განსაკუთრებით მძიმეა ეს დანაკლისი. ჩვენს ოლქში, რომელსაც მისი ნათელი სახელი ეწოდება, სოფელ ვერხნაია ტროიცაში, მდინარე მედვედიცას ნაპირზე, უბრალო გლეხის ოჯახში დაიბადა მიხეილ ივანეს-ძე. 18 წლის ჭაბუკი, იგი მუშად შევიდა პეტერბურგის ქარხანაში. ქარხნებში მუშაობის პირველივე წლებიდან მიხეილ ივანეს-ძე ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, გახდა ერთ-ერთი მოწინავე მუშა, ხოლო მალე მუშათა კლასის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი. იგი დაუღალავად ეხმარებოდა ლენინსა და სტალინს ბოლშევიკური პარტიის შექმნაში, გამარჯვებისათვის მუშათა კლასის მომზადებაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებიდან მიხეილ ივანეს-ძე გახდა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი. წარმოშობით გლეხი, პიტერელი კადრის მუშა მიხეილ ივანეს-ძე განასახიერებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს. იგი სისხლხორცეულად დაკავშირებული იყო მუშებთან და გლეხებთან, ღრმად ესმოდა მათი საარსებო ინტერესები, დაუღალავად ზრუნავდა მშრომელთა კეთილდღეობისათვის. მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე, თავისი თვალსაჩინო უნარი, ცხოვრების დიდი გამოცდილება მან ხალხს მოახმარა. იგი სწავლობდა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინისაგან და თვით ასწავლიდა ხალხს უსაზღვროდ ჰყვარებოდა თავისი სამშობლო, არ დაეშურებინა მისთვის სიცოცხლე, დაუღალავად ეშრომა მისი ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

არასოდეს არ წაიშლება ჩვენი დიდი ხალხის მეხსიერებაში მიხეილ ივანეს-ძის, კომუნიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლის, გულითადი და ბრძენი ხელმძღვანელის ნათელი სახე.

ამხანაგი **კალინინი** ყურადღებით ადევნებდა თვალყურს და ეხმარებოდა კალინინის ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. იგი დიდად იყო დაინტერესებული თავისი თანამემამულეების საქმეებითა და ცხოვრებით, უხაროდა ყოველი ჩვენი წარმატება, ჩვენი ხშირი ძვირფასი სტუმარი იყო. ბევრს ჩვენგანს ახსოვს შეხვედრები მიხეილ ივანეს-ძესთან. მისი უბრალო და გულწრფელი სიტყვა, აღსავსე ღრმა გონებითა და ნათელი აზრით, ყოველთვის პოულობდა გზას მშრომელთა გულისაკენ.

იგი არაერთხელ ყოფილა ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, და ჩვენ ყოველთვის ვხედავდით და ვგრძნობდით მასში დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და თავმდაბალ მომხიბვლელ ადამიანს.

მიხეილ ივანეს-ძეს უკანასკნელ დღეებამდე მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის მშობლიურ კოლმეურნეობასთან, თავის თანამემამულეებთან სოფელ ვერხნაია ტროიცაში. მიხეილ ივანეს-ძე ყოველთვის გულისხმიერად ეპყრობოდა კოლმეურნეთა ინტერესებს. მისი ჩამოსვლა ვერხნაია ტროიცაში და ჩვენი ოლქის სხვა კოლმეურნეობებში დიდი სიხარული, ნამდვილი დღესასწაული იყო კოლმეურნეთათვის.

სამამულო ომის დღეებში მიხეილ ივანეს-ძე — დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი — აღაფრთოვანებდა მტრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის, გვინერგავდა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ურყევ რწმენას.

როცა წითელმა არმიამ გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთაგან გაათავისუფლა ქალაქი კალინინი და მტერს ჯერ კიდევ ეკავა ჩვენი ოლქის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიხეილ ივანეს-ძე ჩვენთან ჩამოვიდა. მან ნახა უდიდესი ნგრევა, რაც მტერმა ძველ რუსულ ქალაქს მიაყენა. მიხეილ ივანეს-ძემ ინახულა პირველი მაისის სახელობის ქარხანა, დიდხანს ესაუბრებოდა ძველ მუშებს იმის შესახებ, თუ როგორ აღვედგინა ქარხანა უფრო სწრაფად. მუშების ურთიერთობა ამხანაგ **კალინინთან** აღაფრთოვანებდა ადამიანებს სიძნელეების დასაძლევად, ფრონტისათვის კიდევ უფრო მეტი დახმარების აღმოსაჩენად.

კოლმეურნეობა „რაბოჩაია მოსკვაში" მიხეილ ივანეს-ძე გულითადად ესაუბრა კოლმეურნეებს, აძლევდა მათ რჩევას. კოლმეურნეებმა შეასრულეს ამხანაგ **კალინინის** რჩევა, მათ მთლიანად აღადგინეს თავიანთი კოლმეურნეობა და იგი კვლავ მდიდარი გახადეს.

მიხეილ ივანეს-ძე იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ამავე დროს რჩებოდა ისეთივე უბრალო, გულისხმიერი და გულითადი ადამიანი, როგორიც ის იყო, როცა დაზგასთან მუშაობდა. იგი განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხთან და ხალხი მას სამაგიეროს დიდი სიყვარულით უხდიდა. აი რატომ არის დღეს ასე დიდი ჩვენი მწუხარება.

მაშ პირობა დავდოთ მიხეილ ივანეს-ძე **კალინინის** საფლავთან, რომ მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ ლენინ-სტალინის საქმეს, რომელსაც მთელი თავისი ნათელი ცხოვრება მოახმარა ძვირფასმა მიხეილ ივანეს-ძემ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

მოსკოვი, კრემლი

ნება მიბოძეთ იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხების სახელით ღრმა მწუხარება გამოვთქვა დიდი რევოლუციონერის, დიდი ლენინისა და სტალინის თანამებრძოლისა და თანამშრომლის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

იუგოსლავიის ხალხებმა ღრმა მწუხარებით შეიტყეს თავიანთი ძვირფასი და გულწრფელი მეგობრისა და დამცველის გარდაცვალება. ეს დიდი დანაკლისია არა მარტო დიდი სოციალისტური ქვეყნისათვის, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მ. ი. კალინინმა, არამედ ეს დიდი დანაკლისია მთელი მოწინავე კაცობრიობისათვისაც.

სამარადისო დიდება მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.

იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუგოსლავიის მარშალი ტიტო

გენერალისიმუს სტალინს, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გენერალურ მდივანს

მოსკოვი

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყველა ფრანგი კომუნისტის სახელით უღრესად გულწრფელ სამძიმარს გითვლით მიხეილ კალინინის გარდაცვალების გამო, რამაც ასე მძიმედ დაამწუხრა თქვენი სახელოვანი პარტია და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხები. ჩვენ პატივს ვცემთ ლენინის ერთგული თანამებრძოლის, თქვენთან ერთად და თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და აყვავებისათვის მუდამ მებრძოლი მიხეილ კალინინის ხსოვნას. ამხანაგმა კალინინმა თავისი სიცოცხლე შესწირა მშრომელთა საქმისა და ხალხთა ძმობის დაცვას. მისი გარდაცვალების გამო დამწუხრებულია ყველა, ვინც მთელ მსოფლიოში სოციალური პროგრესისათვის იბრძვის. მთელი ფრანგი ხალხი იზიარებს საბჭოთა კავშირის, ჩვენი მოკავშირის, მწუხარებას, რომელმაც თქვენი ხელმძღვანელობით ესოდენ დიდად შეუწყო ხელი ფაშიზმის სამხედრო განადგურებას და ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი

ბატონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

დიდად პატივცემული მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო გთხოვთ მიიღოთ ფინეთის მთავრობის სახელით გულითადი სამძიმარი და გულწრფელი მწუხარების გამოთქმა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეკალა

მის აღმატებულებას გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

კრემლი, მოსკოვი

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ბულგარეთის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელი თანაგრძნობა მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

განსვენებულის დამსახურება საბჭოთა კავშირის მშენებლობის საქმეში კარგად არის ცნობილი ბულგარეთში, და მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ბულგარელ ხალხში.

კიმონ გეორგიევი
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს სტალინს

მოსკოვი

ნება მიბოძეთ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სახელით თქვენ და საბჭოთა კავშირის მთელ ხალხს დიდი სამძიმარი მოგახსენოთ თქვენი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილის, მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო. იგი ჩვენთვის იყო იმ დიადი საკაცობრიო იდეალების განსახიერება, რომლებისთვისაც მსხვერპლს იღებდა და იბრძოდა საბჭოთა კავშირი. განსვენებული ჩვენთვის იყო საბჭოთა მშრომელი ხალხის უკეთილშობილეს მისწრაფებათა საუკეთესო წარმომადგენელი, მან ამ ხალხს შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ამ დიდი საბჭოთა პატრიოტის სიკვდილი მწუხარების დღეა მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხისათვისაც.

ზდენეკ ფირლინგერი,
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მის აღმატებულებას გენერალისიმუს იოსებ სტალინს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

დიდი მწუხარებით შევიტყე იმ დიდი დანაკლისის შესახებ, რაც ეს არის განიცადა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა მისი აღმატებულების ბატონ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალებით. ვუერთდები ამ გლოვას და თქვენს აღმატებულებას ვუთვლი ჩემს გულწრფელ და უღრმეს თანაგრძნობას.

კავამ სალტანე
ირანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მის აღმატებულებას გენერალისიმუს სტალინს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სიკვდილით ღრმად დამწუხრებული, ვთხოვ თქვენს აღმატებულებას მიიღოთ ალბანეთის ხალხისა და მთავრობისაგან მხურვალე სამძიმარი.

ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
და საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ენვერ ხოჯა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს

იმ მომენტში, როცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა პრეზიდენტ კალინინის სახით დაჰკარგა ერთ-ერთი თავისი უაღრესად გამოჩენილი და დამსახურებისამებრ პატივცემული მოღვაწე, მე მსურს მოგახსენოთ, რომ სულითა და გულით ვუერთდები მწუხარებას, რომელსაც განიცდიან მთავრობა და საბჭოთა ხალხი.

კეთილინებეთ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილევ, და დარწმუნდით, რომ გამსჭვალული ვარ უაღრესად დიდი პატივისცემით და ღრმა მწუხარების გრძნობით.

ჟ. კატრუ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ ნ. მ. შვერნიკს

მოსკოვი

ჩეხოსლოვაკია გულწრფელად დამწუხრებულია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი დამაარსებლის—მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო.

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, მიიღოთ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ღრმა თანაგრძნობა და პირადად ჩემი თანაგრძნობა იმ დანაკლისის გამო, რაც სსრ კავშირის ხალხებმა განიცადეს ესოდენ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის და ჩვენი ხალხის გულწრფელი მეგობრის გარდაცვალებით.

დოქტორი ედუარდ ბენეში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

გულწრფელ სამძიმარსა და გულითად მწუხარებას გამოვთქვამთ ღრმად პატივცემული მიხეილ ივანეს-ძე **კალინინის** გარდაცვალების გამო.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პაასიკივი

ნ. მ. შვერნიკს

კრემლი, მოსკოვი

გთხოვთ მიიღოთ ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის უაღრესად გულწრფელი სამძიმარი იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო, რაც სსრ კავშირის ხალხებმა განიცადეს მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალებით.

ბედნიერება და პატივი მქონდა პირადად გავცნობოდი კალინინს 1926 წელს. მან დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი გულწრფელობით, საბჭოთა ხალხის საქმისადმი ერთგულებითა და შეგნებით.

ვწუხვართ არა მარტო სსრ კავშირის, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობის დიდი ადამიანის დაკარგვას.

კოუტსი, მდივანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მრავალწლის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი და გულითადი სამძიმარი.

პატრიარქი ალექსი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. შვერნიკს

კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდიუმის, პოლონეთის მთავრობისა და ჯარის სახელით გთხოვთ მიიღოთ დიდი სამძიმარი მ. ი. კალინინის—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრავალი წლის თავმჯდომარის, შესანიშნავი ადამიანის, სსრ კავშირის ხალხთა მიერ მხურვალედ საყვარელი ნიჭიერი და დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწის—გარდაცვალების გამო.

პოლონელი ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებთან დაკავშირებულია დიდი მეგობრობის გრძნობით, იზიარებს მათ მწუხარებას ამ მძიმე დანაკლისის გამო.

კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბ. ბერუტი
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ოსუბკა-მორავსკი
პოლონეთის ჯარის მარშალი მ. როლია-ჟიმერსკი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის მიხეილ ივანეს-ძე **კალინინის** გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებულს, პატივი მაქვს როგორც ჩემი, ისე ჩემი მთავრობის სახელით გთხოვოთ, ბატონო მინისტრო, მიიღოთ და გადასცეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას გულწრფელი სამძიმარი საბჭოთა კავშირის ამ მწუხარების გამო.

ირანის ელჩი მ. ახი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს

პრეზიდენტ კალინინის გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებულს, პატივი მაქვს გადმოგცეთ ნორვეგიის მთავრობის სახელით გულწრფელი თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის მძიმე დანაკლისის გამო.

სამშობლოს წინაშე პრეზიდენტ კალინინის განსაკუთრებული დამსახურება და მაღალი იდეურობა, რაც ახასიათებდა მის ხანგრძლივ და მშვენიერ მოღვაწეობას, მუდამ იწვევდნენ აღტაცებას მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მისმა გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია ნორვეგიაში.

გთხოვთ, ბატონო მინისტრო, დარწმუნდეთ თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

როლფ ანდვორდი,
ნორვეგიის ელჩი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს

საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის, პატივცემული მ. ი. კალინინის გარდაცვალების გამო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით დიდ სამძიმარს მოგახსენებთ თქვენ და თქვენის სახით მთელ საბჭოთა ხალხს.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურად ყოფნის დროს მ. ი. კალინინი განუწყვეტლივ განამტკიცებდა საბჭოთა და მონღოლი ხალხების ძმურ მეგობრობას, თანმიმდევრულად განახორციელებდა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას.

მონღოლი ხალხის გულში სამუდამოდ დარჩება მისი გულწრფელი მეგობრის—მ. ი. კალინინის ნათელი ხსოვნა.

თუმცა მ. ი. კალინინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელოვანი საქმე, რომელსაც მან მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე შესწირა, უკვდავი იქნება.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი
რწმუნებული სსრ კავშირში იდამჟაბი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს

ღრმა მწუხარებით შევიტყე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის ბატონ კალინინის გარდაცვალება.

სავსებით შეგნებული მაქვს, თუ რა დანაკლისი განიცადა თქვენმა ქვეყანამ ამ დიდი მოღვაწისა და კეთილშობილი მოქალაქის და, ჩემის აზრით, დიდი ადამიანის სიკვდილთან დაკავშირებით.

უაღრესად გულწრფელ სამძიმარს მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, როგორც ჩემი, ისე ჩემი ქვეყნის სახელით.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გადასცეთ ეს გრძნობები ქალბატონ კალინინას და მთელ ოჯახს.

მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, და გამოვთქვამ თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემას.

ეგვიპტის დესპანი ელ-ბინდარი ფაშა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტთა სრულიად საკავშირო კომიტეტში

სტანდარტთა სრულიად საკავშირო კომიტეტმა განიხილა საკითხი რეზინის, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთი საწარმოს მიერ სახელმწიფო საერთო საკავშირო სტანდარტების დაუცველობისა და არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შესახებ.

გამორკვეულია, რომ ქარხანა „კრასნი ბოგატირი" არღვევდა სტანდარტის მოთხოვნებს და უშვებდა ისეთ კალოშებს, რომლებსაც ქუსლზე ჰქონდათ 4,5-5,5 მილიმეტრი სისქის რეზინი, სტანდარტით გათვალისწინებული 6 მილიმეტრის ნაცვლად; სალანჩე ნაწილში კალოშებს ჰქონდათ 3,5 მმ სისქის რეზინი, 3,8 მმ ნაცვლად; ქსოვილის ან თხელი საქუსარის დაკავშირებით სიმტკიცე — 0,3-0,4 კილოგრამი, 0,6 კილოგრამის ნაცვლად.

ამის შედეგად კალოშის ხმარების ვადა ძალიან მცირდებოდა, რითაც ზარალი მოსდიოდა მომხმარებელს.

დერბენევსკის ქიმიური ქარხანა უშვებდა არასრულფასოვან საღებავებს პასტის სახით, ნაცვლად მშრალი ფხვნილებისა, აგრეთვე არ ასრულებდა სტანდარტებით დაწესებულ საღებავების მარკირებისა და შეფუთვის წესებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა საფეიქრო საწარმოთა მუშაობას.

საფეიქრო ფაბრიკა „ოსვობოჟდიონი ტრუდი" და კრასნოხოლმსკის კამვოლის კომბინატი, რომლებიც დერბენევსკის ქარხნისაგან საღებავებს იღებდნენ პასტის სახით, არ ეწეოდნენ მათს გამოცდას შეღებვის კონცენტრაციისა და სიმტკიცის მხრივ წყლის, რეცხვის, ოფლის, მშრალი და დასველებული ხეხვისა და გაუთოების მიმართ, აგრეთვე არ ამოწმებდნენ მათი ფერების სისწორეს.

იგივე ფაბრიკები გამოშვებულ ქსოვილებს არ ადარებდნენ შეღებვის ინტენსივობის ეტალონებს, როგორც ეს გათვალისწინებულია სტანდარტებით. სტანდარტების აღნიშნულ დარღვევათა შედეგად უშვებდნენ არამტკიცედ შეღებილ და მნიშვნელოვნად სხვადასხვა ფერის მზა ქსოვილებს; არღვევდნენ ქსოვილების მარკირების წესებს.

საქმე ჩამოთვლილ საწარმოთა მიერ სახელმწიფო საერთო საკავშირო სტანდარტების დარღვევის შესახებ სტანდარტების სრულიად საკავშირო კომიტეტმა გადასცა საბჭოთა კავშირის პროკურატურას თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულებისა „სამრეწველო საწარმოების მიერ არაკეთილხარისხოვანი ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისა და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

31 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 31 მაისი. (საკდესი). ტრიბუნალის 31 მაისის მთელი დილის სხდომა მიეძღვნა ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელ ამხ. ალექსანდროვის მიერ ბრალდებულ ზაუკელის დაკითხვას. ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი არკვევს, თუ რამდენი უცხოელი მუშა შეიყვანეს იძულებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან გერმანიაში. ამხ. ალექსანდროვმა ზაუკელს წარუდგინა მის მიერვე ხელმოწერილი დოკუმენტები — მოხსენებები და გამოთქმული აზრები — და გამოიანგარიშა, რომ ომის დროს გერმანიაში შეყვანილ იქნა ათ მილიონზე მეტი კაცი, რომელთა დიდ უმეტესობას ჰიტლერელები სამხედრო მრეწველობაში იყენებდნენ.

ამხ. ალექსანდროვი სთვლის, რომ ბრალდებულის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი მოსახლეობის მონობაში მასობრივი გარეკვის ორგანიზატორის, როლი საკმაოდ გამორკვეულია, და გადადის იმის გამორკვევაზე, თუ რა როლს ასრულებდნენ ამ საქმეში ცალკეული სამინისტროები. ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ამ ღონისძიებებში, გარდა ზაუკელისა, აქტიურად მონაწილეობდნენ ჰიტლერული გერმანიის თითქმის მთელი სახელმწიფოებრივი მანქანა და ჰიტლერული პარტიის აპარატი. ამხ. ალექსანდროვი იმოწმებს გერინგის 1942 წლის 27 მარტის ბრძანებას იმის შესახებ, თუ რა უფლებებით იყო აღჭურვილი ბრალდებული და არკვევს, რომ ზაუკელს მინიჭებული ჰქონდა საგანგებო უფლებები როგორც გენერალურ რწმუნებულს მუშახელის გამოყენების დარგში. ბრალდებული იძულებულია დაეთანხმოს ამას.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. ალექსანდროვი ეკითხება ბრალდებულს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა მას, როგორც გენერალურ რწმუნებულს გერმანიის მრეწველობაში, საბჭოთა სამხედრო ტყვეების გამოყენებისადმი. ზაუკელი გადაჭრით აცხადებს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია ამ საქმისადმი. ამხ. ალექსანდროვი სიცრუეში ამხილებს მას და მოჰყავს ბრალდებულის მიერ 1942 წლის 27 ივლისს ჰიტლერისათვის წარდგენილი მოხსენების ნაწყვეტი; ამ მოხსენებაში არის სპეციალური განყოფილება: „საბჭოთა სამხედრო ტყვეების მობილიზაცია". ჰიტლერისათვის წარდგენილ მოხსენებაში ზაუკელი სწერდა: „სამოქალაქო მუშების მობილიზაციასთან ერთად მე გეგმაზომიერად გავადიდე საბჭოთა სამხედრო ტყვეების მობილიზაცია გერმანიის შეიარაღებული ძალების თანამოქმედებით. მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ კვლავაც გადიდდეს და დაჩქარდეს ფრონტიდან იმპერიაში სამუშაოდ რაც შეიძლება მეტი სამხედრო ტყვის გაგზავნა".

ბრალმდებელი აბათილებს ზაუკელის ცრუ მტკიცებას, თითქოს გერმანიის მრეწველობაში სამხედრო ტყვეების შრომის გამოყენებისას სრულდებოდა ჟენევისა და ჰააგის კონვენციების მოთხოვნები და ტრიბუნალს უკითხავს 1942 წლის აგვისტოში ბრალდებულის ხელმოწერილი ბრძანების ციტატს. ბრძანება ცხადჰყოფს, რომ ზაუკელი სამხედრო ტყვეების შრომას იყენებდა სამხედრო მრეწველობაში.

დაკითხვის ნაწილს ამხ. ალექსანდროვი უძღვნის იმ პირობებს, რომლებშიც ჩაყენებული იყვნენ საბჭოთა ქალები და ქალიშვილები, რომელნიც ჰიტლერელებმა ძალად წაიყვანეს გერმანიის სოფლის მეურნეობასა და საოჯახო სამუშაოზე გამოსაყენებლად.

შემდეგ ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ლაპარაკობს ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიიდან მუშების იძულებით გარეკვაზე.

ამხ. ალექსანდროვი მოაგონებს ზაუკელს იმ მითითებებს, რომლებსაც გერმანიის მთავრობის ორგანოები და პირადად ბრალდებული იძლეოდნენ ეგრეთწოდებული მუშახელის შეგროვების მეთოდების შესახებ. ბრალდებულის მიერ შედგენილ პროგრამაში ეწერა:

„საჭიროა მთლიანად ამოწურულ იქნას ოკუპირებულ საბჭოთა ოლქებში მყოფი ადამიანთა რეზერვები. თუ ნებაყოფლობის საფუძველზე არ მოხერხდა საჭირო მუშახელის მიღება, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მობილიზაციას, იძულებით გაგზავნას".

ბრალდებული იძულებულია აღიაროს, რომ ეს სიტყვები მან დასწერა, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ეს მას ჰიტლერმა დაავალა.

ამხ. ალექსანდროვი აქვეყნებს კიდევ ორ დოკუმენტს — ბრალდებულის წერილებს, რომლებიც აშკარავებენ მუშახელის შეგროვების ფაშისტურ მეთოდებს. ჩიხში მომწყვდეული ბრალდებული ადასტურებს, რომ ეს განკარგულებანი მან გასცა.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის მიერ ზაუკელის შემდგომი დაკითხვა გადატანილია ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე.

31 მაისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 31 მაისი. (საკდესი). ტრიბუნალის 31 მაისის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ზაუკელის დაკითხვა ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის ამხ. ალექსანდროვის მიერ.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ტრიბუნალს უცხადებს, რომ მის განკარგულებაში არის მრავალი დოკუმენტი, რომლებიც უცილობლად ადასტურებენ, რომ ბრალდებულ ზაუკელის თანხმობით ახორციელებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუშახელის მობილიზაციის დანაშაულებრივ მეთოდებს და მშვიდობიან მოსახლეობას მონებად იყენებდნენ გერმანიაში. ბრალმდებელი სრულიად დამტკიცებულად სთვლის ბრალდების ამ ნაწილს და გადადის შემდგომს საკითხებზე.

ტრიბუნალს წარედგინა ახალი დოკუმენტი— მუშის ბარათი, მიცემული გერმანიის ხელისუფალთა მიერ ქალაქ ბრესლაუში პოლონელ მოქალაქის მარიამ ადლერისათვის. ამ ბარათის მეორე მხარეზე არის შტამპი ღორის გამოსახულებით. მარიამ ადლერის მიერ ფიცით მიცემული ჩვენების მიხედვით, გერმანიის ხელისუფალნი მუშის ასეთ ბარათებს აძლევდნენ 1944 წელს ქალაქ ბრესლაუს ყველა უცხოელ მუშას. ამ უტყუარ დოკუმენტთან ერთად ამხ. ალექსანდროვი ტრიბუნალს უდგენს პოლონეთის მთავრობის კომისიის მოწმობას, რომელიც ადასტურებს აღნიშნული ჩვენების სისწორეს.

ბრალმდებელი: ბრალდებულო ზაუკელ, თქვენ ნახეთ ეს მუშის ბარათი? ნახეთ ღორის გამოსახულება? იცოდით, რომ არსებობდა მუშის ასეთი ბარათები, რომლებიც ბღალავენ ადამიანის ღირსებას?

ბრალდებული, რომელიც განაგრძობს ფაქტების ლიტონი სიტყვით უარყოფას, უარყოფს, ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო.

ბრალმდებელი დაკითხვას განაგრძობს და მოჰყავს გერინგთან 1942 წლის 6 აგვისტოს მომხდარი თათბირის სტენოგრაფიული ანგარიშის მოკლე ამონაწერი. ალექსანდროვს მოჰყავს ამონაწერი გერინგის სიტყვისა, რომელიც ამბობდა: „მე არა მსურს შევაქო გაულაიტერი ზაუკელი, ეს მას არ ესაჭიროება. მაგრამ ის, რაც მან ამ მოკლე ხანში გააკეთა, რათა სწრაფად შეეგროვებინა მუშები მთელ ევროპაში და ჩვენს საწარმოებში მოეყვანა ისინი, ერთად-ერთი თავისებური მიღწევაა. მე უნდა მოვახსენო ყველა აქ დამსწრე ბატონს, რომ თუ თითოეული თავის დარგში იმ ენერგიის მხოლოდ მეათედს გამოიჩენს, რაც გაულაიტერმა ზაუკელმა გამოიჩინა, მაშინ მართლაც ადვილი შესასრულებელი იქნება თქვენთვის დაკისრებული ამოცანები".

— თქვენ მოისმინეთ თქვენი მოღვაწეობის ასეთი შეფასება ბრალდებულ გერინგის პირით? — ეკითხება ბრალმდებელი.

— ადვილი შესაძლებელია, რომ რაიხსმარშალმა ეს სთქვა — თავის დაქნევით უპასუხებს ზაუკელი.

უკანასკნელი კითხვა, რაზედაც ჩერდება ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი, არის ბრალდებულ ზაუკელის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ვაიმარში 1943 წლის იანვარში მუშახელის გამოყენების შტაბების პირველ სესიაზე. ზაუკელმა მაშინ განაცხადა: „რაც შეეხება ჩვენი მუშაობის საფუძვლებს, ჩვენ მათ ვპოულობთ... ფიურერისა და ხალხისადმი ერთგულებაში. იგი გვაძლევს ჩვენ გამართლებას უმკაცრეს ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამ მხრივ მე პასუხისმგებლობის სულ უფრო მეტ წილს ვკისრებ".

— ახლა გვითხარით, — მიმართავს ბრალდებულს ამხ. ალექსანდროვი, — პასუხს აგებთ თუ არა თქვენ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის მონობაში მასობრივად ძალად გარეკვისათვის, თქვენ მიერ მონობაში მილიონობით გარეკილ ადამიანთა ტანჯვისა და უბედურებისათვის, იმისათვის, რომ თქვენ მეოცე საუკუნეში აღადგინეთ მონათმფლობელობის შავბნელი ეპოქა?

ზაუკელი სდუმს.

ზაუკელს რამდენიმე კითხვას აძლევს როზენბერგის დამცველი, რომელიც ცდილობს თავის მარწმუნებელს მოაშოროს პასუხისმგებლობა მონობაში ადამიანთა გარეკვისათვის.

შემდეგ მიკროფონთან მიდის ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი დოდი, რომელიც აცხადებს:

— ბატონო თავმჯდომარევ, აქ უკვე იყო ორი ჯვარედინი დაკითხვა ბრალდების მხრივ, და მე საჭიროდ არა ვთვლიდი დამატებითი კითხვები მიმეცა მოწმისათვის. მაგრამ მე მაქვს დოკუმენტი, რომელზეც მინდა მივაქციო ტრიბუნალის ყურადღება.

ამერიკელი ბრალმდებელი ეკითხება ზაუკელს, ახსოვს თუ არა მას მისი დანიშვნის შემდეგ შემდგარი თათბირი, რომელზეც განიხილავდნენ მუშახელის შემოყვანის პროგრამას. ბრალდებული უპასუხებს, რომ მას არ ახსოვს ამ თათბირის დეტალები. მაშინ დოდი აცხადებს, რომ დოკუმენტი, რომელიც მან ტრიბუნალს უნდა წარუდგინოს, არის სწორედ ამ თათბირის ოქმი. დოდი მიმართავს ზაუკელს და ეუბნება:

— თქვენ მოახსენეთ იმ თათბირის დამსწრეთ მუშათა რაოდენობა, რომლებიც თქვენ გინდოდათ გერმანიაში შეგეყვანათ. თქვენ აგრეთვე ამბობდით, რომ ამ მუშათა უმრავლესობა გინდათ შემოიყვანოთ აღმოსავლეთიდან, საბჭოთა რუსეთიდან. თქვენ აგრეთვე ამბობდით, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ამ საკითხს განიხილავდით რაიხსმარშალთან ერთად და ორივე შეთანხმდით, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას აღმოსავლეთიდან შემოყვანილი მუშების ექსპლოატაციის გზით. თქვენ ლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ გერმანიაში რაც შეიძლება მალე უნდა შემოიყვანოთ მილიონი რუსი, რათა ისინი რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილად გამოიყენოთ. წინადადებაა, ამბობდით თქვენ, რომ რუს მუშებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო ხელისუფალნი ისე უხეშად მოეპყრონ, რომ მუშებმა თვით ისურვონ გერმანიაში გამგზავრება.

ზაუკელი აცხადებს, „არ შემიძლია გავიხსენო", რომ სწორედ ეს გამოთქმა ვიხმარეო.

ამის შემდეგ ბრალდებულს კითხვებს აძლევს მისი დამცველი სერვატიუსი, აგრეთვე რიბენტროპის დამცველი ადვოკატი.

ტრიბუნალის წევრი შეერთებული შტატებისაგან მოსამართლე ბიდლი აგრეთვე აძლევს მთელ რიგ კითხვებს ბრალდებულს.

ზაუკელის დაკითხვის დასასრულს ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსიც აძლევს რამდენიმე კითხვას, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის დარღვევასთან, აგრეთვე იმასთან, რომ პოლიცია და უშიშროების სამსახური ჩაბმული იყვნენ მუშახელის ძალად მოგროვებაში.

ამის შემდეგ ბრალდებული ზაუკელი მცველებს მიჰყავთ მის ადგილას ბრალდებულთა სკამზე და დარბაზში შემოჰყავთ დაცვის მოწმე მაქს ტიმი, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი მუშაკი იყო იმ სამმართველოსი, ზაუკელი რომ მეთაურობდა. ბრალდებულის მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, რომ იგი თითქოს პოლიტიკური მოღვაწე არ ყოფილა, მოწმე აცხადებს, რომ თვით ზაუკელი თავის მოღვაწეობას პოლიტიკურ მოღვაწეობად სთვლიდა.

საღამოს სხდომის დამთავრების წინ ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსი აქვეყნებს ტრიბუნალის მიერ პროცესის შემდგომ მსვლელობასთან დაკავშირებულ დადგენილებას.

ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

გერმანიის ყოფილ ფაშისტურ მთავრობასთან ამერიკის შეერთებული შტატების ფაშისტური ჯგუფების კავშირის ახალი დამამტკიცებელი საბუთები

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ფრანკფურტიდან იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის სპეციალურმა თანაშემწემ როჯმა განაცხადა, რომ მან აღმოაჩინა გერმანიის ყოფილ ჰიტლერულ მთავრობასთან ამერიკის შეერთებული შტატების ფაშისტური ჯგუფების კავშირის მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთი. როჯმა გერმანიაში იმგზავრა აპრილის შუა რიცხვებში იმ მიზნით, რათა ეპოვნა მამხილებელი საბუთები 29 ამერიკელის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალდებათ აჯანყების მომზადება და რომელთა პირველი გასამართლება შარშან შესწყდა მოსამართლის სიკვდილის გამო. როჯმა დაჰკითხა 42 თვალსაჩინო ჰიტლერელი, მათ შორის გერმანიის ყოფილ ელჩებს ამერიკის შეერთებულ შტატებში დიკჰოფსა და ლუტერს, გერმანიის ყოფილ გენერალურ კონსულს სან-ფრანცისკოში ვიდემანს.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ყრილობა

ბრიუსელი, 1 ივნისი. (საკდესი). 30 მაისს ბრიუსელში გაიხსნა ბელგიის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობა. კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ჟიულიენ ლაომ, რომელიც ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს, ყრილობის გახსნისას განაცხადა, რომ ბელგიის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც ომამდე 7.000 წევრს ითვლიდა, ამჟამად 100 ათასი კაცი შედის.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის გენერალურმა მდივანმა ლალმანმა.

„ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნი" საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 31 მაისი. (საკდესი). ინგლისური ყოველკვირეული „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნი" სარედაქციო სტატიაში კომენტარს უკეთებს საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნავს: „მოლოტოვის პასუხს ბირნისადმი გარკვეულობა არ აკლია. ეს იყო უკომპრომისო განცხადება რუსეთის პოზიციის შესახებ".

სტატიის ავტორის აზრით, ორივე ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის — საგარეო პოლიტიკა საშინაო ხასიათის ფაქტორების ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება.

სტატიის ავტორი ეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას და სწერს: „შეერთებული შტატების შიგნით სუსტი ადმინისტრაცია, რომელსაც სძულს სოციალიზმი და ვალდებულება აკისრია დაუბრუნდეს თავისუფალ ინიციატივას, სამრეწველო საქმეებში ერევა უფრო გაბედულად, ვიდრე ინგლისის ლეიბორისტულ მთავრობას ოდესმე უფიქრია ჩარეულიყო. უხეირო ტრუმენი, რომლის ერთადერთი იმედი ხელახლა არჩევის დროს მუშათა ხმებზე ემყარება, იძულებული აღმოჩნდა სასწრაფოდ გაეყვანა კონგრესში უბადრუკი კანონპროექტი გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც მას ძვირად დაუჯდება საარჩევნო ყუთებთან... საბოლოო ანგარიშით უკანასკნელი კრიზისი სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, მან შეუძლია დაუმტკიცოს ამერიკის პროფკავშირებს, რომ მათ უკვე აღარ შეუძლიათ თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობა შემოფარგლონ კულუარის აგიტაციით, პოლიტიკურ მოღვაწეთა მოსყიდვით და ორი მხარიდან ერთი-ერთისათვის თავიანთი მხარდაჭერის მიყიდვით, რომელიც უფრო მეტს მისცემს, თუ ეს მოხდა, წარმოიშობა მუშათა პარტია და მუშათა მოძრაობა. მაგრამ ამგვარმა მოსაზრებებმა შეიძლება არც კი იქონიონ არავითარი გავლენა. ტრუმენის აქცია არის ყოველივე იმის გამარჯვება, რაც ყველაზე უფრო რეაქციულია ამერიკაში. ამის შემდეგ ამერიკა დარწმუნდება, რომ მისთვის სულ უფრო ძნელი იქნება მჭიდრო თანამშრომლობა რომელიმე ქვეყანასთან, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს გეგმიანი თანამშრომლობა თავის საგარეო ან საშინაო პოლიტიკაში... ამ შემთხვევაში მისი საგარეო პოლიტიკა მიზნად დაისახავს პირველ რიგში ამერიკელი საქმის კაცებისათვის უზრუნველყოს კაპიტალის შეძენის თავისუფლება, სადაც მათ ნებავთ".

დასასრულ სტატიის ავტორი სწერს: „ასეთ გარემოებაში ინგლისი ყურს დაუგდებდა ძალიან ცუდ რჩევას, თუ შეუდგებოდა რაიმე ისეთი კურსის გატარებას, რისი წარმატებისთვისაც საჭირო იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი დახმარება".

მერეის წერილი ტრუმენისადმი

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერეიმ ტრუმენს გაუგზავნა ვრცელი წერილი, რომლითაც დაჟინებით მოითხოვს, რომ ტრუმენმა ვეტო დაადოს კეიზის კანონპროექტს, ვინაიდან ეს კანონპროექტი ზიანს მიაყენებს ხალხის კეთილდღეობას, ისე როგორც მუშათა უფლებებს.

მერეი აცხადებს, რომ ამ კანონპროექტის დამტკიცება იმის ნაცვლად, რომ მოსპოს შრომითი კონფლიქტების მიზეზები, წააქეზებს და გაადიდებს მათ. მერეის სიტყვით, კეიზის კანონპროექტი აგვირგვინებს კანონპროექტთა გრძელ რიგს, რაც უკანასკნელ წლებში შეტანილია რეაქციონერების მიერ, რომლებიც ცდილობენ დაასუსტონ და მოსპონ პროფკავშირული მოძრაობა. კონგრესის წევრები, რომლებმაც შეიტანეს და გაჰყავდათ ასეთი კანონპროექტები, წარმოადგენენ პროფკავშირების წინააღმდეგ მებრძოლი გავლენიანი მეწარმეების საყვარს.

უპასუხებს რა მონოპოლისტთა და რეაქციული პრესის პროპაგანდას, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს მუშები სარგებლობენ უფართოესი უფლებებით, მაშინ როცა მეწარმეები ზარალობენ არსებული შრომითი კანონებით, მერეი სწერს: „მიუხედავად მუშათა ძველისძველი მტრების და პრესის ერთი ნაწილის განცხადებებისა, ამერიკის მშრომელი მოსახლეობა მაინც არ სარგებლობს შრომის დარგში მთავრობის იმ პროგრამის შედეგებით, რომელიც ჩამოყალიბებულია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში".

ამჟამად შეერთებულ შტატებში არის ბევრი გავლენიანი მეწარმე, რომლებიც კანონს შრომითი კონფლიქტების მოგვარების შესახებ ჯერ კიდევ სთვლიან დროებით დაბრკოლებად, ჯერ კიდევ ეწევიან ბრძოლას თავიანთი მუშების ორგანიზაციების წინააღმდეგ და თავიანთ ეკონომიურ ძალას იყენებენ იმისათვის, რომ ჩაშალონ მუშების დარაზმვის ცდები. შეერთებულ შტატებში მრავალი რაიონია, სადაც ორგანიზატორ მუშებს სცემენ და ასახიჩრებენ. არის რაიონები, სადაც მეწარმეები მთელ ოლქებში მოისყიდიან ხოლმე პოლიციის მოხელეებს და ფართოდ იყენებენ სამუშაოზე კავშირის არაწევრების მიღების მეთოდს. უკანასკნელი გაფიცვების დროს მეწარმეებმა მიაღწიეს ასობით სასამართლო დადგენილებას, რათა განედგურებინათ მშვიდობიანი პიკეტები. პოლიციელთა მხეცური მოპყრობა გაფიცულებისადმი ამერიკის დიდ ქალაქებში ჩვეულებრივი მოვლენაა.

„ჩვენ ვიმყოფებით, — სწერს მერეი, — ანტიმუშური ჯვაროსნული ლაშქრობის წინაშე, რომლის მომასწავებელიც არის კეიზის კანონპროექტი". მერეი აცხადებს, რომ საჭიროა განადგურებულ იქნას ეს ანტიმუშური ჯვაროსნული ლაშქრობა, ვინაიდან „თავისუფალი მუშათა მოძრაობა თავისუფალი ამერიკის საარსებო შემადგენელი ნაწილია".

მერეიმ თავის წერილს დაურთო მემორანდუმი, რომელიც ანალიზს უკეთებს კეიზის კანონპროექტს და ამტკიცებს, რომ კანონპროექტის დამტკიცება ძირს გამოუთხრის მუშათა მოძრაობას.

სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ნოვიკოვმა პრეზიდენტ ტრუმენს გადასცა თავისი რწმუნების სიგელები

ვაშინგტონი, 3 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ნ. ვ. ნოვიკოვმა დღეს თავისი რწმუნების სიგელები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენს.

ელჩმა და პრეზიდენტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

„ჩიკაგო სანი" გერმანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ჩიკაგო სანმა" გამოაქვეყნა სტატია თავის კორესპონდენტ ჯონსონისა, რომელიც დიუსელდორფიდან იუწყება, რომ ინგლისის ხელისუფალთა ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა კორესპონდენტთან საუბარში აზრი გამოსთქვა სხვა ქვეყნებისათვის ქვანახშირის მთელი მიწოდების შეწყვეტის სასარგებლოდ, რათა გერმანელებს საშუალება მიეცეთ მთელი ქვანახშირი გამოიყენონ თავიანთი მრეწველობის აღსადგენად. სხვა პასუხისმგებელმა ინგლისელმა მოხელემ განაცხადა, რომ გერმანიის მრეწველობა ამჟამად იღებს რურში მოპოვებულ თითქმის მთელ ქვანახშირს, ამასთან აღიარა, რომ საფრანგეთში ყოველთვიურად იგზავნება ერთი დღის განმავლობაში ამოღებული ქვანახშირი, კიდევ უფრო ნაკლები ქვანახშირი იგზავნება ლუქსემბურგის, ბელგიის, ჰოლანდიის, დანიისა და ნორვეგიისათვის.

კორესპონდენტი აცხადებს, რომ დამშვიდების ის პირობები, რომლებსაც გერმანიის მრეწველობის წარმომადგენლები მოკავშირეებს სთავაზობენ ცხოვრებაში გასატარებლად, მან შეიტყო ჩრდილოეთ რაინის პროვინციის გერმანელ ობერ-პრეზიდენტ ლერთან საუბრის დროს. ლერმა აზრი გამოსთქვა პოტსდამის დეკლარაციაზე უარის თქმისა და დასავლეთ გერმანიის, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სანიტარული კორდონის აღდგენის სასარგებლოდ და აღნიშნა, რომ ამასთან გერმანიის მძიმე ინდუსტრიას ნება უნდა დაერთოს გაადიდოს თავისი წარმოება ერთიორად და მეტად მისთვის დაწესებულ დონესთან შედარებით. ლერმა აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ გერმანიის მძიმე ინდუსტრიას მიეცეს გერმანიის ქვანახშირის მიღების პრიორიტეტი. ჯონსონი აღნიშნავს, რომ ინგლისელებმა ლერი დანიშნეს მის ახლანდელ პოსტზე, თუმცა ლერს წარსულში თვალსაჩინო მდგომარეობა ეკავა გერმანიის ფოლადსამსხმელო მრეწველობაში და თავის დროზე დიუსელდორფის ბურგომისტრი იყო.

მაწონი, როგორც სამკურნალო საშუალება

მაწონი ცნობილია, როგორც დიეტური საშუალება კვების რეჟიმის დანიშვნისას მრავალგვარი ავადმყოფობის დროს. გარეგან სამკურნალო საშუალებად მას თითქმის არ იყენებდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მაწონს ზოგჯერ ხმარობდნენ კანის ზედაპირის მსუბუქი დამწვრობის დროს.

ჩვენ მაწონი გამოვიყენეთ კანის ქსოვილების ღრმა დარღვევებისა და ჩირქოვანი ჭრილობების მკურნალობის დროს.

ჩირქოვანი ჭრილობების მკურნალობა, როგორც ცნობილია, ისახავს შემდეგ მიზნებს: შეზღუდოს ანთებითი პროცესი და ქსოვილების სიკვდილი (ნეკროზი), შემცირდეს ჩირქოვანი და დაავადებული კერიდან დაშლის პროდუქტების შეწოვება-გადასვლა სისხლის ნაკადში, გაძლიერდეს ჭრილობის თუ წყლულის ადგილიდან მავნე ნივთიერებათა დინება გარეთ და ამით შეიქმნას ხელისშემწყობი პირობები ორგანიზმის სწრაფი განთავისუფლებისათვის ინფექციისაგან და მომწამვლელ ნივთიერებათაგან, შემცირდეს და შეწყდეს ტკივილები. ყოველივე ამის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს სხვადასხვა რთულს და ხანგრძლივ პროცედურას და ნაირნაირ სამკურნალო ნივთიერებას.

მრავალი ავადმყოფის მკურნალობისათვის ჩირქოვანი და არაჩირქოვანი ქსოვილების მთლიანობის დარღვევისას (ჭრილობები, წყლულები, გაკაწვრები) ჩვენ გამოვიყენეთ მხოლოდ მაწონი და ამან ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა, როგორც ეფექტიანობის, ისე მკურნალობის ხანგრძლივობის შემცირების მხრივ. თუ ამას დავუმატებთ ამ საშუალების და თვით მკურნალობის წესის სიმარტივეს, გასაგები იქნება ის უპირატესობა, რაც უნდა მიეცეს ხსენებული ნივთიერების მკურნალობას აღნიშნული მეთოდით. მკურნალობის წესი ასეთია: მაწონის საცხი უნდა დავადოთ მტკივნეულ მიდამოზე ერთჯერ დღე-ღამეში 3-4 დღის განმავლობაში.

მაწონის სამკურნალო თვისებები დამოკიდებულია მასში არსებულ რძის შემმჟავებელ ნივთიერებათა ზეგავლენაზე იმ მავნე ბაქტერიების მიმართ, რომლებიც კანის ჩირქოვან პროცესებს იწვევენ.

ჩვენ სასურველად მიგვაჩნია შესწავლილ იქნას ეს საკითხი ცდების უფრო ფართოდ დაყენების გზით. ცდები უნდა მოვაწყოთ სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში ავტორიტეტული სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ, რათა შეტანილ იქნას სამკურნალო ნივთიერებათა არსენალში ისეთი მარტივი და ხელმისაწვდომი საშუალება, როგორსაც წარმოადგენს ჩვეულებრივი, მხოლოდ ჰიგიენურობის მხრივ სათანადო პირობებში დამზადებული მაწონი.

ექიმი **შ. შენგელია**

სამტრედია

სოფლის ელექტროფიკაცია

სოფელ ღანირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დაიწყეს ელსადგურის მშენებლობა, რაც დიდი ოქტომბრის XXIX წლისთავისათვის უნდა დამთავრდეს.

მოედნის კეთილმოწყობა

წელს გათვალისწინებულია სადგურ სამტრედიის მოედნის გაფართოება და მოასფალტება. მოედანზე დაიდგმება ამხანაგ სტალინის მონუმენტი.

აგროპროპაგანდა კოლმეურნეობებში

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი რაიონის კოლმეურნეობებში თვალსაჩინო მუშაობას ეწევა აგრონომიული მეცნიერების პოპულარიზაციისათვის. ტექნიკუმის მასწავლებლები ე. დვაძე, ნ. ურუშაძე, ს. სანაძე და სხვები კოლმეურნეობებში ატარებენ საუბრებს საადრეო ბოსტნეულის მოყვანაზე, მყნობაზე, მევენახეობაში აგროღონისძიებების გატარებაზე და სხვ.

„კოლმეურნის ქორწინება"

სამტრედიის კულტურის სახლთან არსებულმა დრამატიულმა დასმა (რეჟისორი დ. სტურუა) ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა დრამატურგ პ. კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება". როლებს ასრულებდნენ: გ. ახობაძე (მირიანი), პ. ნიკოლაიშვილი (გვირისტინე), დ. ჩიჩუა (ირინე), ა. სიგუა (ლომკაცა), ს. კახიანი (მანუჩარი), მ. ბუაძე (კაკალი) და სხვები.

პროფესორ თ. ი. მამაიაშვილს ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა

საქართველოს სსრ ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის ზოოჰიგიენისა და ვეტერინარიის საფუძვლების კათედრის გამგეს თ. ი. მამაიაშვილს, რომელმაც დაიცვა დისერტაცია ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის დადგენილებით მიენიჭა ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის სამეცნიერო ხარისხი.

დოქტორი—პროფესორი თ. მამაიაშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და წარმოების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. იგი საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ ინსტიტუტში 15 წელია ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას.

ჩხოროწყუ

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

წელს ქუჩებსა და ბაღში დაირგო 59.447 ძირი დეკორაციული მცენარე, 1.000 ძირი ბამბუკის ხე და ბზა. რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები შეასრულეს მუშა-მოსამსახურეებმა და მოსწავლეებმა უქმე დღეებში.

ახალი საწარმოები

სოფელ მონგირში შენდება აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც წელიწადში 150.000 ცალ კრამიტსა და 300.000 ცალ აგურს დაამზადებს. ქარხანა მთლიანად დააკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას.

სოფელ მუხურში კირის ქარხანა შენდება. რაიონის ცენტრში უკვე აშენებულია წისქვილი და სახერხი ქარხანა.

ადმინისტრატიული სახლი

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია რაიკომისა და რაიაღმასკომისათვის. შენობის აგება ნახევარ მილიონამდე მანეთი ჯდება.

ახალი ხიდი

მდინარე ოჩხომირზე ხიდის ჩანგრევის გამო რაიონი მოწყვეტილი იყო ცხაკაიას რკინიგზის სადგურსა და ზოგიერთ სასოფლო საბჭოს. კოლმეურნეობებმა საკუთარი საშუალებით ააგეს ახალი ხიდი მდინარეზე.

ხელოვნების ქრონიკა

„ბაღნარში"

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი სეზონის მორიგ პრემიერად ამზადებს საბავშვო პიესების კონკურსზე პრემირებულ ქ. გოგიაშვილის თანამედროვე პიესას — „ბაღნარში", რომლის თემაა ზრუნვა სამამულო ომის დროს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე.

პიესას დგამს რეჟისორი თ. წეროძე, მხატვარი პ. დათებაშვილი, კომპოზიტორი ალ. მაჭავარიანი.

როლებს შეასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. კუპრაშვილი, თ. თეალიაშვილი, ვახ. არუშიძე, მსახიობები შ. გელეკაშვილი, მ. მესხიშვილი, ე. ურუშაძე, ბ. ნაკაიძე, და სხვ.

პრემიერა ნაჩვენები იქნება ივნისის ბოლო რიცხვებში.

ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედნები

წელს თბილისის ყველა რაიონში, ბაღებსა და პარკებში მოეწყობა ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედნები, სადაც დაისვენებენ სამხედრო მოსამსახურეთა და მრავალშვილიან დედათა შვილები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ლექცია

7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) შესდგება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსის ამხ. **უ. ობოლაძის** მოხსენება თემაზე: „სწავლის ვადის გადიდება და სკოლის ამოცანები მეოთხე ხუთწლედში".

შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

6 ივნისს: სახელმწიფო ოპერა — „ფაუსტი". **რუსთაველის სახელობის** — „ღალატი". **მარჯანიშვილის სახელობის** — „მასკარადი". **გრიბოედოვის სახელობის** — „ოდესღაც". **მუსიკალური კომედიის** — „არშინ მალ-ალან". **სანკულტურის** — „სევდიანი რომანი". **სომხური** — „ძია ბალდასარი". **ახუნდოვის სახელობის** — „ლეილი და მეჯნუნი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ალმასის საბადოები". **თოჯინების ქართული** — „ბებია დარეჯანის ზღაპრები".

კინოებში

6 ივნისს: რუსთაველის სახელობის და **დამკვრელი** — „შვილები". **ოქტომბერი** — „გაზაფხულის ვალსი". **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ზიგმუნდ კოლოსოვსკი". **სპარტაკი** — „შორეულ ნაოსნობაში". **ლუქსემბურგის სახელობის** — „საზღვაო ბატალიონი". **26 კომისრის სახელობის** — „მოუსვენარი მეურნეობა".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 27 ივნისს, დღის 3 საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი **იოსებ პარმენის-ძე გელაშვილი** თემაზე: „ადრენალინის გავლენა ქსოვილთა სუნთქვაზე".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ვ. ასათიანი** და დოცენტი **ნ. ძიძიგური**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დილის 9-დან საღამოს 10 საათამდე.

დირექცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 20 ივნისს, დღის 3 საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **პეტრე გედევანის-ძე გელგახიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბროწეულის ნაყოფის ქერქი, როგორც ნედლეული ტანინის მისაღებად"**.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ვ. ასათიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ი. ფაილოძე**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16), დილის 9-დან საღამოს 10 საათამდე.

დირექცია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 18 ივნისს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ალექსის-ძე ძიძარია** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Абхазия в 1917—1918 годах".

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი **გ. ხაჩაპურიძე** და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნ. მახარაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული), სამუშაო საათებში.

დირექცია

მოქალაქე **გერასიმე სერგოს-ძე შავერდოვმა**, მცხოვრებმა — საველე ფოსტა № 41615, აღძრა საქმე მელიქიშვილის ქ. № 23 მცხოვრებ მოქალაქე **ირინე სიმონის-ასულ გურიევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვაჩიკ ბაგდასარის-ძე აშუგატოიანმა**, მცხოვრებმა ჩკალოვის ქ. № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ასია კარაპეტის-ასულ აშუგატოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება **ნიკოლოზ გიორგის-ძე ხამხარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/VI ხარაგოულში.

ოჯახი იუწყება **მამია თუნგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/VI. სოფ. წყემში (აბაშის რაიონი).

გ. ა. და თ. ნ. გოჩაშვილები იუწყებიან **რაულ ჯორჯიკიას** გარდაცვალებას.

საქართველოს ზოგერის ქარხნის მუშაკთა კოლექტივი იუწყება ინჟინერ დუგლაძის მამის **იპოლიტე სპირიდონის-ძე დუგლაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვებების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000. უე 00066